„კატონის წერილი” ყოველკვარტალური მოწოდება თავისუფლებისაკენ

“კატონის წერილი” წარმოგიდგენთ ამონარიდებს თავისუფლებისადმი მიძღვნილი დინამიური გამოსვლებიდან და სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის აღმწერი ღრმააზროვანი სტატიებიდან. თუკი გსურთ ჩვენი ჟურნალის გამოწერა, შეავსეთ http://www.cato.org/pubs/letters/palmer-catoletters.pdf-ზე განთავსებული სტატიის მე-7 გვერდზე მოცემული ფორმა და გამოაგზავნეთ იგი მითითებულ მისამართზე.

გლობალიზაცია მაგარრია!

ტომ გ. პალმერი

“კატონის ინსტიტუტის”

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

თქვენს წინაშეა ტომ გ. პალმერის მიერ ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის წაკითხული ლექციის შემოკლებული ვერსია. პალმერი გახლავთ “კატონის ინსტიტუტის” უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და “კატონის უნივერსიტეტის” დირექტორი.

მრავალ ადამიანში გლობალიზაცია ძლიერ ემოციებს იწვევს, მაგრამ მე ემოციების შესახებ საუბარს არ ვაპირებ. მთავარია არგუმენტებს აზრი გააჩნდეთ, შესაძლებელი იყოს მათი დადასტურება ან უარყოფა, ანუ ჩვენი გულისთქმები გონებას უნდა დავუმორჩილოთ. მე იმედი მაქვს, რომ შევძლებ თქვენი გონება დავარწმუნო ისე, რომ თქვენ თქვენს გულებს შემოაბრუნებთ და კაცობრიობის მხარეზე დადგებით.

გლოაბალიზაციის ოპონენტები ამ ტერმინს, ჩვეულებრივ, ადამიანის ცხოვრების ყველა იმ ასპექტის მიმართ იყენებენ, რომელიც მათ არ მოსწონთ. მე “გლობალიზაციას” უფრო კონკრეტული მნიშვნელობით გამოვიყენებ და მასში საზღვრების მიღმა გაცელა-გამოცვლაზე

სახელმწიფოების მიერ დაწესებული შეზღუდვების შემცირებას და შედეგად საერთაშორისო წარმოების და ვაჭრობის მეტად ინტეგრირებულ და კომპლექსურ სისტემას ვიგულისხმებ. ყველაზე საჭირბოროტო საკითხი ალბათ ის არის, რა ზეგავლენას ახდენს გლობალიზაცია რეალურად და რა მოაქვს ამ ზეგავლენას – ზიანი თუ სარგებელი.

ძირითადი პოლიტიკური საკითხი იმაში მდგომარეობს, საჭიროა თუ არა საზღვრის გამოყენება ისეთი ოპერაციების შესაფერხებლად, რომლებიც სრულებით შეუზღუდავი იქნებოდა გარიგების ორივე მხარე ერთ სახელმწიფოში რომ იყოს? უნდა შეეძლოთ თუ არა ამერიკელ ფერმერებს, რომლებსაც ხორბალი მოჰყავთ, ფინეთის მაცხოვრებლებისგან მობილური ტელეფონების შეძენა? აქვთ თუ არა განელ ტანსაცმლის მწარმოებლებს საკუთარი პროდუქციის გერმანელი ავტომობილების მწარმოებლებისთვის მიყიდვის უფლება?

ჩემი აზრით პასუხი დადებითია. გლობალიზაციის ოპონენტები, როგორც მემარცხენე ასევე მემარჯვენე, რალფ ნადერიდან პატრიკ ბიუქენენამდე და ჟან მარი ლეპენამდე, ასე არ ფიქრობენ. სანამ აგიხსნიდეთ, რატომ მიმაჩნია, რომ პასუხი დადებითი უნდა იყოს, მინდა ხაზი გავუსვა, რომ საქმე არა სტატისტიკური ერთეულების, არამედ რეალური ადამიანების, სისხლისა და ხორცისაგან შემდგარი ცოცხალი არსებების ურთიერთობებს ეხება. არსებებისა, რომლებსაც გააჩნიათ სხეული და გონება, და რომელთა ცხოვრება აზრიანი და მნიშვნელოვანია.

იმისათვის რათა ეს სისხლ-ხორცშესხმული არსებები ფორმალურ არგუმენტებთან დავაკავშიროთ, მინდა ერთი მაგალითი მოგიყვანოთ. შარშან ერთმა მეგობარმა, რომელიც მაიას ტომის შთამომავალია და გვატემალაში ანთროპოლოგიას ასწავლის, მაიას მთიანეთში წამიყვანა. მან მითხრა, რომ ევროპელი და ამერიკელი ანთროპოლოგები, რომლებსაც ინდიელების "შესწავლა" სურთ, უკმაყოფილებას გამოთქვავენ, რადგან მაიას ქალები ხელით შეკერილ ლამაზ ტრადიციულ ტანისამოსს ყოველდღიურ ცხოვრებაში აღარ იყენებენ. ეს ტანისამოსი სულ უფრო ხშირად მხოლოდ საზეიმო ცერემონიალებისთვის, მაგალითად, ნათლობებში და ქორწილებში გამოიყენება. თითქმის ყველა ჩამომსვლელს ერთნაირი რეაქცია აქვს, და მათი გრძნობები ახლოსაა შეშფოთებასთან. ისინი ამტკიცებენ, რომ მაიას ტომის წარმომადგენლებს თავიანთ კულტურას პარავენ; რომ ისინი გლობალიზაციის და კულტურული იმპერიალიზმის მსხვერპლს წარმოადგენენ.

სტუმრები თავს არ იწუხებენ იმით, რომ შეეკითხონ მაიას ქალებს, რატომ ამჯობინებენ ისინი თანამედროვე ტანსაცმლის ტარებას. ამით ჩემი მეგობარი დაინტერესდა. ქალებმა უთხრეს, რომ ტრადიციულ ტანსაცმელზე უარს ამბობენ, რადგან იგი *ძალიან ძვირი* გახდა. მაგრამ, რას უნდა ნიშნავდეს ეს? ეს ნიშნავს, რომ მაიას ტომის ქალების შრომა *უფრო ძვირფასი გახდა*. იმის მაგივრად, რომ საათების განმავლობაში

ხელის საკერავი მანქანით პერანგები კერონ და შემდეგ თავადვე ჩიაცვან, ისინი ამ პერანგებს ფრანგ ქალბატონს მიჰყიდიან და ამ ფულად სამ ხელ საგარეო ტანისამოსს შეიძენენ, ან სათვალეს, ან რადიოს, ან ტროპიკული ციების საწინააღმდეგო წამალს. ქალებს შეუძლიათ სხვა რამეებიც აკეთონ და მაინც შეიძინონ მათთვის ძვირფასი საქონელი. მათ არავინ *ძარცვავს.* ისინი *მდიდრდებიან* და, ამ თვალსაზრისით, ეს კარგია. მაგრამ მათი თვალსაზრისით, ვისაც ჩემი მეგობარი ანტი-გლობალისტ "სიღარიბის მაძიებელ ტურისტებს" უწოდებს, ვისაც მოსწონთ ღარიბი ადამიანების კოლორიტული სურათების თვალიერება, ეს, რა თქმა უნდა, დიდ იმედგაცრუებასთან არის დაკავშირებული.

ასე რომ, როდესაც ჩვენ გლობალიზაციაზე ვმსჯელობთ, მოდით არ დავივიწყოთ ტანსაცმლის მწარმოებელი ქალები, რომელთათვისაც ეს ტანსაცმელი ახლა ძალიან ძვირფასია იმისათვის, რომ თავადვე ატარონ.

მითები გლობალიზაციის შესახებ

გლობალიზაცია სამუშაო ადგილებს სპობს. სავაჭრო პოლიტიკას სამუშაო ადგილების რაოდენობაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია, თუმცა მას შეუძლია სამუშაოების ტიპებზე ზემოქმედება. თუკი პროტქციონიზმი ზრდის სამუშაო ადგილების რაოდენობას იმ წარმოებებში, რომლებიც იმპორტიორებს უწევენ კონკურენციას, იგი შესაბამისად ამცირებს ადგილების რაოდენობას ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებში, ანუ საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ საქონელს, რომელიც *უნდა გადაცვლილიყო* იმ საქონელზე, *რომლის იმპორტიც უნდა განხორციელებულიყო*, მაგრამ, რომელიც ახლა გაცილებით ძვირი ღირს პროტქციონისტული პოლიტკის, ან სულაც აღარ შემოდის დაწესებული კვოტების გამო. ბოლო-ბოლო ექსპორტი ხომ ის ფასია, რომელსაც ჩვენ იმპორტის სანაცვლოდ ვიხდით, ისევე როგორც იმპორტი ის ფასია, რომელსაც უცხოელები ჩვენს მიერ ექსპორტირებული საქონლისთვის იხდიან. ასე რომ, თუკი თქვენ საბაჟო ტარიფების მეშვეობით იმპორტირებული საქონლის ფასებზე ზეგავლენის მოხდენას შეეცდებით, შესაბამისად შემცირდება თქვენს მიერ ექსპორტზე გატანილი საქონლის ფასეულობაც. ეს კი ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებებში სამუშაო ადგილების შემცირებას ნიშნავს.

გლობალიზაცია კაპიტალის ნაკადებს მიმართავს იქით, სადაც ყველაზე დაბალი ხელფასებია და ყველაზე ღარიბი მუშა ხელის ექსპლუატაციას უწყობს ხელს. ეს რომ მართალი იყოს, ბურკინა ფასო და სხვა გაღატაკებული დაბალ ხელფასიანი ქვეყნები უცხოური ინვესტიციებით გაივსებოდა. ასეთი განცხადების შემოწმება ძალიან ადვილია, და ჩვენ ასეც მოვიქცევით. 1990-იან წლებში აშშ-ს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 81 პროცენტი მსოფლიოს სამ რეგიონში განხორციელდა: გაუსაძლისად ღარიბ კანადაში, მისავათებულ დასავლეთ ევროპაში და შიმშილისაგან დაუძლურებულ იაპონიაში.

განვითარებადი, სულ უფრო ზრდადი ხელფასების მქონე ქვეყნების (როგორებიცაა ინდონეზია, ბრაზილია, ტაილანდი და მექსიკა) წილი 18 პროცენტს შეადგენდა. ხოლო დანარჩენი მსოფლიო, მათ შორის აფრიკაც, დარჩენილ 1 პროცენტს ინაწილებდა. ინვესტორები ფულს იქ აბანდებენ, სადაც იგი ყველაზე დიდ მოგებას მოიტანს, ხოლო ასეთ ადგილებს, ძირითადად, მაღალ და არა დაბალ ხელფასიანი ქვეყნები წარმოადგენენ. ამას გარდა, უცხოელი ინვესტორების მიერ დაფუძნებული საწარმოები ჩვეულებრივ უფრო მაღალ ხელფასებს უხდიან თავიანთ თანამშრომლებს, ვიდრე მათ შინაური ფირმები გადაუხდიდნენ, რადგან უცხოელებს საუკეთესო კადრების მოზიდვა და შენარჩუნება სურთ.

ხდება კაპირტალის ექსპორტი მდიდარი ქვეყნებიდან მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, სადაც ხორციელდება იაფი მუშა ხელის ექსპლუატაცია, რის შედეგადაც იწარმოება დიდი მოცულობით იაფფასიანი საქონელი, რომელიც შემდეგ მიედინება მდიდარი ქვეყნებისაკენ, იქმნება სავაჭრო პროფიციტები, რაც ძირს უთხრის წარმოებას მდიდარ ქვეყნებში, ასე რომ ყველა წაგებული რჩება. ასეთ ისტორიებს ხშირად კოლეჯების საერთო საცხოვრებლებში ვისმენ. ისინი ისე დახლართულია, რომ არც კი ვიცი საიდან დავიწყო. პირველ რიგში, შეუძლებელია ერთდროულად კაპიტალური ანგარიშების და სავაჭრო პროფიციტები არსებობდეს. თუკი თქვენი ექსპორტის მოცულობა იმპორტს აჭარბებს, ექსპორტის სამგიეროდ რაღაცას იღებთ, და ეს რაღაცა შეიძლება იყოს იმ ქვეყნის აქტივები – ან წმინდა ინვესტიციები – რომელშიც თქვენ ექსპორტს ახორციელებთ. თუკი თქვენი იმპორტის მოვცულობა უფრო დიდია, ვიდრე ექსპორტის – რასაც უკვე რამოდენიმე ათწლეულია ამერიკის შეერთებულ შტატებში აქვს ადგილი – უცხოელებს, რომლებიც თქვენს ქვეყანაში იმპორტს ახორციელებენ სამაგიეროდ რაიმე უნდა შესთავაზოთ, და ეს ჩვეულებრივ თქვენი აქტივებია (შეიძლება თქვენი კომპანიების აქციებიც იყოს). ფუნდამენტალური საბუღალტრო განტოლება შემდეგნაირად გამოიყურება: დანაზოგებს – ინვესტიციები = ექსპორტს – იმპორტი. გლობალიზაციის ოპონენტების მიერ წარემოდგენილი "საშინელი" სცენარების უმრავლესობას საფუძვლად საერთაშორისო სავაჭრო ბუღალტერიის ელემენტარული საფუძვლების უცოდინრობა უდევს.

გლობალიზაცია გარემოსდაცვითი და შრომითი სტანდარტების გაუარესებას იწვევს. კიდევ ერთი სიცრუე ის არის, თითქოს კაპიტალი იქეთ მიედინება, სადაც ყველაზე დაბალი გარემოსდაცვითი და შრომითი სტანდარტები არსებობს. მოდით ფაქტებს გადავხედოთ. ინვესტორები ფულს აბანდებენ იქ, საიდანაც მაქსიმალური უკუგების მიღებას მოელიან. ჩვეულებრივ ეს იქ არის შესაძლებელი, სადაც შრომა ყველაზე ნაყოფიერია, ანუ სადაც ადამიანები უფრო მდიდრები არიან, ხოლო რაც უფრო მდიდარია საზოგადოება, ის უფრო მეტ და არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს გარემოს დაცვის საკითხებს და შრომის პირობებს. სავაჭრო ხელშეკრულებების ვითომდა ნეგატიური ზეგავლენის საილუსტრაციოდ ყველაზე ხშირად გამოყენებული ორი შემთხვევა – "თინუს/დელფინის" და "ხამანწკა/კუს" საქმეები – რეალურად პოზიტიურ

ტენდენციას გვიჩვენებენ, რადგან სხვა ქვეყნებმა დელფინების და კუების დასაცავად აშშ-ს საკანონმდებლო სტანდარტები დანერგეს.

იგივე შეეხება შრომით სტანდარტებსაც. ჩვეულებრივ, უცხოელების მფლობელობაში მყოფ საწარმოებში ადგილი ყველასათვის სასურველია, რადგან ეს საწარმოები უკეთეს ხელფასებსაც იხდიან და თანამშრომლებს უკეთეს პირობებსაც სთავაზობენ, ვიდრე ადგილობრივი კომპანიები.

გლობალზიაცია მთელ მსოფლიოში ჰომოგენური ამერიკული კულტურის დანერგვას უწყობს ხელს. მართალია, რომ ამერიკა ბევრისათვის კულტურულად მიმზიდველია, და რომ ზოგიერთი ადამიანი – ჩვეულებრივ ეს ელიტის წარმომადგენლები არიან – ამას ეწინააღმდეგება. მაგრამ რატომ არაფერს ამბობთ იმ მანიაზე, რომელმაც მთელი მსოფლიო შტურმით დაიპყრო – პატარა ინგლისელ ჯადოქარ ჰარი პოტერზე, ან იმ მანიაზე, რომელმაც მთელი მსოფლიოს შვიდი წლის ბავშვების გულები მოიგო – იაპონურ პოკემონის ფენომენზე, ან იაპონურ "ანიმეზე", ინდური "ბოლივუდის" ფილმების ინდუსტრიაზე, და იმ უამრავ პოპულარულ არა-ამერიკულ კულტურებზე, რომლებიც ასე გვამდიდრებენ ჩვენ და ამდიდრებენ ერთმანეთს? აღარაფერი რომ ვთქვათ ტაილანდურ სამზარეულოზე ან იმაზე, რომ მსოფლიოში არსებულ ნებისმიერ ენაზე დაწერილი სიმღერის მოსმენა აღარანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. თუკი კულტურა ჰერმეტულად დახურული და უცვლელი იქნება, იგი კულტურა კი არა, მუზეუმის ექსპონატი გახდება. გლობალიზაცია კულტურების გამდიდრებას ემსახურება.

გლობალიზაცია უთანასწორობის წყაროა. უთანასწორობის ზრდის ან შემცირების მიზეზები მრავალფეროვანია, თუმცა იმ განცხადებაში, რომ გლობალიზაცია უთანასწორობას იწვევს სიმართლის მნიშვნელოვანი წილია, ოღონდ ეს უთანასწორობა ჩაკეტილი ბაზრის და ეკონომიკის მქონე და ღია სავაჭრო პოლიტიკის გამტარებელ ქვეყნებს შორის არსებობს. ამას იმ უთანასწორობასთან, რომელსაც ანტი-გლობალისტები გულისხმობენ, საერთო არაფერი აქვს. იმ ქვეყნებში, რომლებსაც თავიანთი ბაზრები ვაჭრობას და ინვესტიციებს გაუხსნეს, საშუალო კლასი გაიზარდა, რაც ნიშნავს, რომ შემოსავლების უთანასწორობა შემცირდა და არა პირიქით.

გლობალიზაციის სარგებელი

გლობალიზაცია მშვიდობის განმტკიცებას უწყობს ხელს, რადგან კონფლიქტების წარმოქმნის სტიმულებს სპობს. პროტექციონიზმი ისეთ მენტალიტეტს და მის შესაბამის პრაქტიკებს ეფუძნება, რომლებიც სხვადასხვა ერების ურთიერთ საწინააღმდეგო ინტერესებზე აკეთებენ აქცენტს. ამის საწინააღმდეგოდ, თავისუფალი ვაჭრობა ხალხებს შორის მშვიდობიან კავშირებს ამყარებს. არსებობს ძველი აფორიზმი: როდესაც საქონელს საზღვრის გადაკვეთა არ შეუძლია, ამას ჯარები იზამენ.

ვაჭრობა სიმდიდრეს ქმნის. წარმოიდგინეთ, რომ ვიღაცამ შექმნა მანქანა, რომელიც მოგცემთ საშუალებას ერთ კარში ის საქონელი გაიტანოთ, რომლის წარმოებაც თქვენ იაფად შეგიძლიათ, ხოლო მეორეში – ის საქონელი შემოიტანოთ, რომელიც გჭირდებათ მაგრამ, რომლის წარმოებაც თქვენთვის ძვირი და პრობლემატურია. ავსტრალიელები ერთი კარიდან ცხვრის გატანას შეძლებდნენ, ხოლო მეორედან მათ ავტომობილები და ქსეროქსები შემოუვიდოდათ. იაპონელები კი ერთი კარიდან ვიდეო და აუდიო მოწყობილობებს გაიტანდნენ, ხოლო მეორედან ნავთობპროდუქტებს, ხორბალს და თვითმფრინავებს მიიღებდნენ. ასეთი მანქანის გამომგონებელი კაცობრიობის მხსნელად იქნებოდა გამოცხადებული, სანამ რალფ ნადერი ან პეთ ბიუქენენი არ აღმოაჩენდნენ, რომ ეს მანქანა ისეთივე პრინციპით მუშაობს, როგორც ნებისმიერი ... პორტი! ამის შემდეგ, მსხნელობის მაგივრად გამომგონებელს სამუშაო ადგილების გამანადგურებელს და, სულ მცირე, არა-პატრიოტს შეარქმევდნენ. მაგრამ, არსებობს რაიმე განსხვავება ასეთ ჯადოსნურ მანქანასა და ვაჭრობას შორის?

ვაჭრობა ყველასათვის მომგებიანია. პროტექციონისტებისთვის ყველაზე დამახასიათებელი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი 'აბსოლუტურ უპირატესობას' და 'შედარებით უპირატესობას' ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ. მაშინაც კი, თუ პირველ რიგში მჯდომი ადამიანი *ყველაფერს* უკეთესად აკეთებს ვიდრე მე, ჩვენ ორივე სარგებელს მივიღებთ, როდესაც იგი გააკეთებს იმას რის გაკეთებაც ყველაზე კარგად შეუძლია, ხოლო მე გავაკეთებ იმას, რის გაკეთებაც მე შემიძლია ყველაზე კარგად და ჩვენი შრომის ნაყოფს ერთმანეთს გავუცვლით. მბეჭდავის და იურისტის ცნობილი ძველი მაგალითი ისევე მართებულია საერთაშორისო ურთიერთობებისთვის, როგორც ოფისის შიგნით. იურისტი მბეჭდავს კანონებთან მუშაობაშიც სჯობს და ბეჭდვაშიც, თუმცა ორივე იგებს, როდესაც იურისტი კანონებს მიხედავს, რაც ნაკლები ზარალის მომტანი იქნება ნაბეჭდის გამოსავლის დანაკარგის თვალსაზრისით, ხოლო მბეჭდავი დაბეჭდავს, რაც ნაკლებ ზარალს მოიტანს დაკარგული საკანონმდებლო შრომის თვალსაზრისით, რადგან მბეჭდავი კანონებთან მუშაობაზე უკეთესად მაინც ბეჭდვას ახერხებს. საერთო გამოსავალი უფრო მაღალი ხარისხის იქნება და ორივე უფრო დიდ შემოსავალს მიიღებს. ეს აგრეთვე ერთერთი მიზეზია იმისა, რომ ვაჭრობა ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვიდობასთან. ზუსტად იმის გამო, რომ ადამიანები სხვა ადამიანებს უყურებენ როგორც პარტნიორებს ორივე მხარისათვის მომგებიან ურთიერთობებში, და არა როგორც სამკვდრო-სასიცოცხლო მტრებს, შესაძლებელი ხდება მშვიდობიანი და ადამიანური ურთიერთობების დამყარება. კაცობრიობის ცივილიზაციას საფუძვლად ვაჭრობა უდევს.

თავისუფალი ვაჭრობა ბავშვთა შრომის აღკვეთის საუკეთესო საშუალებაა. მთელ მსოფლიოში დაახლოებით 250 მილიონ ბავშვს უწევს მუშაობა. გლობალიზაციასთან და თავისუფალი ვაჭრობის გავრცელებასთან ერთად მომუშავე ბავშვების რაოდენობა შემცირდა, კი არ გაიზარდა, და ამას საკმაოდ თვალსაჩინო მიზეზები გააჩნია. ღარიბი

ქვეყნები იმიტომ როდი არიან ღარიბი, რომ აქ ბავშვებს უწევთ მუშაობა. პირიქით – ბავშვები მუშაობენ, იმიტომ რომ ისინი ღარიბები არიან. როდესაც ადამიანები წარმოების და თავისუფალი ვაჭრობის შედეგად მდიდრდებიან, მათ ურჩევნიათ ბავშვები სკოლაში გააგზავნონ, და არა ყანაში. გლობალური ვაჭრობა ბავშვთა შრომის მოსპობის და მისი განათლებით ჩანაცვლების უსწრაფესი საშუალებაა.

ვაჭრობა, გამჭვირვალობა და გლობალიზაცია ანგარიშვალდებული და დემოკრატიული მთავრობების ჩამოყალიბებას და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას უწყობენ ხელს. სავაჭრო ბარიერების დამხობას ისეთი მთავრობების რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდა მოჰყვა, რომელთაც "ფრიდომ ჰაუსი" (*Feedom House*) დემოკრატიულის კლასიფიკაციას ანიჭებს. "*მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების*" ჩამონათვალის (ამ დოკუმენტის ერთერთი გამომცემელი "კატონის ინსტიტუტია") ყველაზე გახსნილი ბაზრის მოქნე ქვეყნებიდან (ზედა 40%) 90% "ფრიდომ ჰაუსის" მიერ კლასიფიცირებულია, როგორც 'თავისუფალი'. ამის სწინააღმდეგოდ, ყველაზე ნაკლებად თავისუფალი ბაზრის მქონე ქვეყნების (ქვედა 20%) მხოლოდ 20% წარმოადგენს 'თავისუფალს', ხოლო 50%-ზე მეტი – 'არა-თავისუფალს'. ამ თვალსაზრისით მექსიკა ძალიან კარგი მაგალითია: "ჩრდლოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების" დადების შედეგად მექსიკის ეკონომიკის გახსნამ შესაძლებელი გახადა საპრეზიდენტო არჩევნებში ვინსენტე ფოქსის გამარჯვება, რამაც ბოლო მოუღო ქვეყანაში "ინსტიტუციონალური რევოლუციური პარტიის" მონოპოლურ მმართველობას. დემოკრატიულად ანგარიშვალდებული მთავრობის და კანონის უზენაესობის გულშემატკივრებმა მხარი გლობალიზაციას უნდა დაუჭირონ.

თავისუფალი ვაჭრობა ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების რიცხვს განეკუთვნება. ანტი-გლობალისტები და პროტექციონისტები თავიანთ მსჯელობას საფუძველში იმ მოსაზრებას უდებენ, რომ მათ ჩემსა და თქვენს შორის ნებაყოფლობითი გაცვლა-გამოცვლის შესაფერხებლად ძალის გამოყენების უფლება გააჩნიათ. მაგრამ, ფუნდამენტალური უფლებები ყველა ადამიანისთვის ერთნაირი უნდა იყოს, ხოლო თავისუფალ ვაჭრობაში მონაწილეობა ფუნდამენტალური უფლებაა, რომელიც ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად იმისა, საზღვრის რომელ მხარეს ცხოვრობს იგი. თავისუფალი ვაჭრობა არ არის პრივილეგია; ეს ადამიანის უფლებაა.

ვაჭრობა ადამიანისთვის დამახასიათებელი საქმიანობაა. იგი განგვასხვავებს ჩვენ ყველა დანარჩენი ცხოველისაგან. იგი ჩვენთვის დამახასიათებელ მსჯელობისა და სხვათა დარწმუნების უნარებს ეფუძნება. როგორც ადამ სმითმა 1763 წლის 30 მარტს თავის ლექციაში აღნიშნა, "შილინგის შეთავაზება, რასაც ჩვენთვის ასეთი ჩვეულებრივი და მარტივი მნიშვნელობა გააჩნია, რეალურად წარმოადგენს არგუმენტს, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვცდილობთ დავარწმუნოთ პიროვნება მოიქცეს ისე, როგორც ჩვენ გვსურს, რადგან ეს მისთვისაც სასარგებლო

იქნება". მისი სიტყვებით, სხვა ცხოველებს შეუძლიათ ითანამშრომლონ, მაგრამ ისინი არ ვაჭრობენ: მათ არ შეუძლიათ ვაჭრობა, რადგან მათ მსჯელობის მეშვეობით სხვა ცხოველების დარწმუნება არ შეუძლიათ.

ვაჭრობა არა მარტო ადამიანის, არამედ ცივილიზაციის ერთერთ დამახასიათებელ თვისებასაც წარმოადგენს, და ამას ჰომეროსიც კი აღნიშნავს თავის "*ოდისეაში*". მე-9 ნაწილში, რომელშიც ოდისევსი ციკლოპების ქვეყანაში ვიზიტის შესახებ მოგვითხრობს, იგი გვიხსნის, რატომ არიან ციკლოპები "უკანონო გულმხეცი ქმნილებები". ოდისევსი გვეუბნება, რომ:

"ციკლოპებს არ ჰყავთ ალისფერ ცხვირიანი ხომალდები

და არც ხომალდის ხუროები, რომლებიც ლამაზ გემებს ააგებდნენ,

რათა ამ გემებით გასულიყვნენ ზღვაში და მოეხილათ ხალხმრავალი ქალაქები,

როგორც ამას ადამიანების უმრავლესობა აკეთებს, რათა ცოდნა და საქონელი

გაუზიაროს სხვებს ან მიიღოს სხვებისაგან".

ციკლოპი ველურია, რადგან იგი სხვებთან არ ვაჭრობს. იგი ცხოვრობს ისეთ სამყაროში, რომლისკენაც ანტი-გლობალისტები ისწრაფვიან, მსოფლიოში ვაჭრობის გარეშე, მსოფლიოში, რომელშიც ნებისმიერი საქონელი მხოლოდ ადგილობრივად იწარმოება. პროტექციონიზმის უარყოფა აუცილებელია არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი არაეფექტურია. იგი უნდა იქნას უარყოფილი, რადგან მას კონფლიქტებამდე და ომამდე მივყავართ, იმიტომ რომ იგი ამორალურია, და იმიტომ რომ იგი არაცივილიზებულია.

იმისათვის რათა დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს, "კატონის ინსტიტუტი" უარს ამბობს სამთავრობო დაფინანსებაზე. შემოწირულობები მიიღება ფონდებისგან, კორპორაციებისგან და ინდივიდებისგან. დამატებითი შემოსავლები მიიღება გამოქვეყნებული მასალების რეალიზაციიდან. ინსტიტუტი არის არა-მომგებიანი, საგადასახადო შეღავათების მქონე საგანმანათლებლო ფონდი, რომელიც დაფუძნებულია "შიდა საშემოსავლო კოდექსის" 501(c)3 მუხლის შესაბამისად.